საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№132 (6358) 1 ნოემბერი 1990 წელი ხუთშაბათი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

გლეხური მეურნეობა
იწყევენ პირველ მოსავალს
II გვ.

ცისფერი სარწყული
III გვ.

ვაგრძელებთ პუბლიკაციას:
ლეჩხუმური ყოფა-ტრადიციები
ფუტკრის სახლი
IV გვ.

ამ ჩვეულებრივ კვირა დღეს...

28 ოქტომბერს საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები

არ ყოფილა არც ზარ-ზეიმი, არც ყვავილები, მაგრამ არც სევდის მომგვრელი გულგრილობა შეიმჩნეოდა. აი, ასეთი, თითქოსდა წინააღმდეგობრივი ნიშანთვისებებით გამოირჩეოდა გასული კვირა დღე, რომელიც უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, როგორც უკანასკნელი სამოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნების დღე.

ვფიქრობ, ამ დღეს სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ვუწოდოთ ნამდვილად ღირსშესანიშნავი საქართველოს ცხოვრებაში, იგი, უეჭველია გახდება ახალ თვისებრივ მდგომარეობაში ჩვენი შესვლის თავისებური ათვლის წერტილი, რაც პირველ ყოვლისა, გულისხმობს ილია ჭავჭავაძის ცნობილი ფრაზის—„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“—აზრის ხორცშესხმას როგორც პირადი, ისე საერთო-ეროვნული თვალსაზრისით. ეს ფრაზა არ არის უბრალო სიტყვები, სრულიადაც არა. ას წელზე მეტი ხნის წინათ ჩვენი დიდი წინაპრის მიერ ნათქვამი ეს ფრაზა ჩვენ, მის შთამომავლებს, ფასდაუდებელ მემკვიდრეობად, იმისათვის მგზნებარე მოწოდებად დაგვრჩა, რომ ვიყოთ დაუცხრომელნი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ ძნელ გზაზე, რამეთუ მხოლოდ ისინი შეადგენენ ადამიანის, ხალხის ღირსებასა და პატიოსნებას.

და აი, კვირას დილით რომ გავიღვიძეთ, უცებ აშკარად ვიგრძენით სიხარული იმ საყოველთაო შიშის დათრგუნვის გამო, რომლის მეშვეობით, ჩვეულებრივ, ნებისმიერ დიქტატურას მორჩილებაში ჰყავს ხალხი და ამით მეთოდურად, დღენიადაგ და განუხრელად აქცევს მას უსახო მასად. დიახ, ამ ჩვეულებრივ დღეს ჯერ კიდევ არჩევნების დაწყებამდე მტკიცე ნაბიჯი გადავდგით ჩვენი ადამიანური ღირსების აღდგენის გზაზე. მაგრამ რა ფასად?! რა წარმოუდგენელი ძალისხმევის, აუნაზღაურებელი დანაკარგების, პოლიტიკურ, საყოფაცხოვრებო და სოციალურ წყვდიადში ხეტიალის ფასად შევძელით, ბოლოს და ბოლოს, მკაფიოდ დაგვენახა ჩვენს ცის კამარაზე მიზანი, რომლის გულისთვისაც ღირს სიცოცხლე.

ზუსტად დილის შვიდ საათზე გაალეს კარი ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის №6 დიღმის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებმა, ხოლო უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ თითოეული მათგანისაკენ გაემართნენ პირველი ამომრჩევლები. რთული არჩევანი ელოდათ: თუ, ვთქვათ, პოლიტიკური პარტიების და ბლოკების მიმართ, რომლებიც, როგორც მოგეხსენებათ, თერთმეტი იყო, ეს არჩევანი, უნდა ვივარაუდოთ, ბევრისთვის წინასწარ განსაზღვრული იყო, მაგრამ იმაზე, კონკრეტულად ვისთვის მიეცათ უპირატესობა დეპუტატობის კანდიდატთაგან, ვინც პერსონალურად იყრიდა აქ კენჭს, ჯერ კიდევ უნდა დაფიქრებულიყვნენ. ეს არც არის გასაკვირი—ამ ოლქში ხომ წარმოდგენილი იყო დეპუტატის მანდატის თერთმეტი პრეტენდენტი. ორი მათგანი დამოუკიდებელია, რომლებიც დაასახელა არა რომელიმე პარტიამ ან ბლოკმა, არამედ დასახელებული არიან მოქალაქეთა ინიციატივით, რომელთა რიცხვი 500-ზე ნაკლებს არ შეადგენდა. ამიტომ ამჯერად მრავალი საარჩევნო უბნის გამტარუნარიანობა მკვეთრად შემცირდა წარსულ, ეგრეთ წოდებულ არჩევნებთან შედარებით, როცა არსებითად ასარჩევიც კი არავინ იყო, რადგან ბიულეტენებში, როგორც წესი, აღნიშნული იყო ერთადერთი კანდიდატის გვარი, რომლის მანდატი გარანტირებული იყო არა იმდენად ხალხის ნება-სურვილით, რამდენადაც ზემოდან ბრძანებით.

ამიტომ არ გაგვკვირვებია გრძელი რიგი, რომელიც დადგა დიღმის მასივში განლაგებული ამ ოლქის №13 საარჩევნო უბანთან.

—ამომრჩეველთა სია ჩვენთან დიდი არ არის, — თქვა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, 130-ე საშუალო სკოლის დირექტორმა იუზა ჩეჩელაშვილმა,—სულ 2.537 კაცი. მიუხედავად ამისა, როგორც ხედავთ, შენობაში სივიწროვეა, თუმცა დადგმულია სამი კაბინა. ამომრჩეველნი დიდხანს ჩერდებიან ამ კაბინებში. ხშირად ერთი ოჯახის წევრებიც კი ცალ-ცალკე აანალიზებენ საარჩევნო ბიულეტენებს. ესეც, ალბათ, მრავალპარტიული არჩევნების ერთ-ერთი ნიშანია.

კიდევ ერთი თავისებურება: კენჭისყრის მიმდინარეობას დასაწყისიდან დამთავრებამდე აქ ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს არა მარტო სხვადასხვა ბლოკის წარმომადგენლები, არამედ დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირნიც.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის საგანგებო ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ძველი რომაელები ამბობდნენ—დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად. სულ რამდენიმე წლის წინ შეუძლებელიც კი იყო იმის წარმოდგენა, რაც დღეს ხდება.

1990 წლის 28 ოქტომბერი ისტორიული დღეა—ამ დღეს საქართველოში პირველად გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები. წინ გველოდება მრავალი სიახლე, მაგრამ, ამავე დროს—მრავალი საშიშროებაც. ადამიანი ხდება ულმობელი, უნდო, შენდობის უნარს მოკლებული. გახშირდა მძიმე დანაშაულობანი, მათ შორის კაცის კვლა. ქართველი ქართველს ემუქრება სიკვდილით და ხშირად ასრულებს კიდეც ამ მუქარას.

ამიტომ ამ ისტორიულ დღეს მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება, რომელიც 28 ოქტომბერს წირვის შემდეგ წაკითხულ იქნა სიონის საპატრიარქო ტაძარში.

საგანგებო ბრძანება

1990 წლის 28 ოქტომბერი

სახელითა მამისა და ძისათა და სულისა წმინდისათა ვბრძანებ:

დღეიდან ყოველი ქართველი ადამიანის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად.

მკვლელის სახელი და გვარი შეტანილ იქნეს საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში და გადაეცეს თაობიდან თაობას, როგორც სამარცხვინო და დასაგმობი.

საგანგებო ბრძანება ესე მიღებულია, რათა საქართველოში სამუდამოდ თავიდან აცილებულ იქნეს უმძიმესი ცოდვა და დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე—ძმათა კვლა.

ილია II,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

* * *

საქართველოს საპატრიარქომ თხოვნით მიმართა უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების პედაგოგებს, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გააცნონ მოსახლეობას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას ეს საგანგებო გადაწყვეტილება.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

* * *

რაიონის ბაღ-ვენახებში

ხილის დამზადება გრძელდება

ხილის უხვი მოსავალია წელს ღვირიშის რეგიონში, მის ახლომახლო სოფლებში. მიმდინარე წელს კარგად მოისხა და განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა თესლოვანი ხილი, რა ჯიშის ვაშლს არ შეხვდებით აქ.

ახლა, შემოდგომის ამ დღეებში აქაური მშრომელები კრეფენ და სახელმწიფოს აბარებენ მოსავალს. საგეგმო დავალება დიდია და მშრომელთა სერიოზულ მიდგომას ითხოვს, რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ მოიწიონ მოსავალი. საქმისადმი გულშემატკივრული მიდგომის შედეგია, რომ საგეგმო დავალება აქ გადაჭარბებით შეასრულეს, უკვე დაიკრიფა და დამამზადებელ ორგანიზაციებს 267 ტონა ხილი გაეგზავნა, როცა გეგმა 250 ტონის დამზადებას ითვალისწინებდა.

ხილის კრეფა და დამზადება გრძელდება. რაიონის ბაღ-ვენახებში შემოდგომის სურნელი ტრიალებს და გლეხკაცის მარჯვენას დიდი შრომის დაფასებას ჰპირდება. უხვი მოსავალი სახელმწიფო გეგმის შესრულებისა და მშრომელის შემოსავლის მნიშვნელოვნად გაზრდის საშუალებას იძლევა.

28 ოქტომბერს საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები

(დასასრული).

დიდად არ განსხვავდებოდა ვითარება საქართველოს დედაქალაქის დანარჩენ 357-ვე საარჩევნო უბანში. ყველგან შეიმჩნეოდა წინათ არნახული დაინტერესება იმით, რომ არჩევნები ჩატარებულიყო სათანადო დონეზე, საქმიანობისა და ახალი კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვის ატმოსფეროში. ნიშანდობლივია, რომ მისი შედარებით ახალგაზრდობის მიუხედავად, ამომრჩევლები კარგად გაერკვნენ კანონში, რასაც მოწმობდა მათ მიერ არცთუ იშვიათად გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი კენჭისყრის პროცედურის, მისი სრულყოფის ირგვლივ.

ამ დღეს აფორიაქებული იყო ქალაქ სოხუმის ახალი მიკრორაიონის ოცდაათათასიანი მოსახლეობა: ამასაც მოვესწარით, როგორც პურის, სიგარეტებისათვის, უზარმაზარი რიგი გაიმართა, იყო მითქმა-მოთქმა. ძლივს გაიკვალა გზა ჩვენმა კორესპონდენტმა სარედაქციო „ნივთ“ მსუბუქი ავტომანქანებით გადაჭედილ აგრბას ქუჩაზე და მივიდა სპეციალურ მაღაზიასთან, რომელზეც წარწერილი იყო „პური“ და აქ ყველაფერი გამოირკვა. რიგი თვალის დახამხამებაში ქრებოდა მაღაზიის გვერდით მდებარე საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქის ფართოდ გაღებულ კარში. საქმიანი განწყობილებით მოდიოდნენ აქ ამომრჩევლები—სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, მოხუცები თუ ახალგაზრდები.

ასე იყო ქალაქის თითქმის ყველა საარჩევნო უბანში. ყოველი ღონე იხმარეს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა, რათა ყოველ ამომრჩეველს ჰქონოდა საშუალება, თავისი გულის კარნახით აერჩია, რომელი პარტიის ან ბლოკისთვის, საქართველოს ახალი პარლამენტის დეპუტატობის რომელი კანდიდატისთვის მიეცა ხმა. მრავალპარტიული არჩევნების პირობებში მეტად საჭირო იყო, რომ ყველგან ყოფილიყო მოწყობილი კარგად აღჭურვილი კაბინები ფარული კენჭისყრისათვის. აქვე იყო ამომრჩევლების სიები, პლაკატები და ფურცლები პარტიებისა და ბლოკების საარჩევნო პლატფორმებით, იმ დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიებით და პროგრამებით, რომლებიც პერსონალურად იყრიდნენ კენჭს.

სამწუხაროდ, კენჭისყრა არ მოწყობილა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ ყველა საარჩევნო ოლქში. არჩევნები არ შედგა ტყვარჩელში, აგრეთვე გუდაუთის რაიონში, სადაც კენჭისყრა მიმდინარეობდა მხოლოდ ერთ საარჩევნო უბანში. ამომრჩეველთა პასიურობა შეინიშნებოდა აფხაზეთის მთელ რიგ სხვა დასახლებულ პუნქტებშიც.

დილით ადრე გაიღო ბათუმის №27 საშუალო სკოლის კარი, სადაც ბინა დაიდო ბათუმის №113 დავით აღმაშენებლის საარჩევნო ოლქის №14 საარჩევნო უბანმა. უბანში პირველები მოვიდნენ ძნელაძეების ოჯახის წევრები. მათ წარმოადგინეს პასპორტები და მიიღეს საარჩევნო ბიულეტენები. არჩევნები ფარული იყო. ამ ოლქში კენჭს იყრიდნენ გენადი მაქაცარია —დამოუკიდებელი კანდიდატი ამომრჩეველთა ჯგუფისაგან, თამაზ ბოლქვაძე—ბლოკისაგან „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“, მიხეილ ხომერიკი — ბლოკისაგან „თავისუფლება“, გიორგი სიხარულიძე —საქართველოს სახალხო პარტიისაგან, ანზორ კუდბა — ბლოკისაგან „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“, თეიმურაზ კომახიძე — საქართველოს კომპარტიისაგან, გივი ძნელაძე—საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან, თამაზ დიასამიძე — საქართველოს რესპუბლიკური პარტიისაგან.

დილის ათი საათისათვის ხალხის ნაკადმა იმატა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ა. ტუღუშმა, კომისიის წევრმა მ. ქუთათელაძემ და სხვებმა დაწვრილებით განუმარტეს ამომრჩევლებს კენჭისყრის პროცედურა.

ამ უბანში კენჭისყრაში მონაწილეობდა დაახლოებით ორი ათასი ამომრჩეველი, სულ კი 28 ოქტომბერს აჭარაში მოქმედებდა 8 საარჩევნო ოლქი, 279 საარჩევნო უბანი, სადაც გვიან ღამემდე ხალხმრავლობა იყო.

რთულ პირობებში მიმდინარეობდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისათვის მზადება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. მოწოდებებმა, რომ ბოიკოტი გამოეცხადებინათ ამ არჩევნებისათვის, სამწუხაროდ, გავლენა იქონია თვით კენჭისყრის მიმდინარეობაზე. დილით თითოოროლა ამომრჩეველი თუ მივიდა უბნებში. მაგალითად, ამ დღეს ცხინვალში და მის რაიონში საარჩევნო უბნებში უნდა მისულიყო ორმოცი ათასზე მეტი კაცი. ფაქტობრივად კი, წინასწარი მონაცემებით, ხმა მისცა სულ დაახლოებით შვიდი ათასმა. ასეთივე მდგომარეობა შეინიშნებოდა იმერეთი გამონაკლისის გარდა, ავტონომიური ოლქის სხვა საარჩევნო ოლქებშიც.

ამ ჩვეულებრივ კვირა დღეს

—ჩვენი, ცხინვალის №121 საქალაქო საარჩევნო ოლქის 19 უბნიდან ფუნქციონირებს 18 უბანი, — თქვა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ი. ჯიოევმა. — არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ გადაწყვეტილება სულ რამდენიმე დღის წინათ იქნა გამოტანილი. მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ უზრუნველგვეყო ამ მნიშვნელოვანი კამპანიის მოწყობა. გაიმართა საუბარი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. მართალია, ამ მოკლე დროში ვერ მოვასწარით ინდივიდუალურად შეგვეტყობინებინა თითოეული ამომრჩეველისათვის და მოგვეწვია კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად. და მაინც, რეგიონში არსებული ყველა არხის საშუალებით მოსახლეობას სამ ენაზე ეუწყა მომავალი არჩევნების, უბნების საზღვრებისა და ადგილმდებარეობის, არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ბლოკების, დეპუტატობის კანდიდატების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს ნთელი მომავლის იმედმა ქუთაისის მცხოვრები 86 წლის ალექსანდრე ბიბილეიშვილი, მძიმე სნეულების მიუხედავად, ერთ-ერთი პირველი მოიყვანა არჩევნების დღეს №71 დავით აღმაშენებლის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბანში.

—არ შემეძლო პირადად არ მოვსულიყავი, — თქვა მან. — დიდხანს, ძალზე დიდხანს ველოდი ასეთ არჩევნებს. ბედნიერი ვარ, რომ მაინც მოვესწარი ამ დღეს, ვიხილე ჩემი თანამემამულეების გაცისკროვნებული სახეები. ღმერთმა ნუ ქნას, მათი იმედი არ გამართლდეს.

ქალაქში განლაგებული ხუთივე საარჩევნო ოლქის ყოველ უბანში იგრძნობოდა ამომრჩეველთა აქტიურობა. დილის 11 საათისათვის დეპუტატებს უკვე ხმა მისცა ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

ჩვენს, დავით აღმაშენებლის საარჩევნო ოლქში, კენჭისყრამ ნორმალურად ჩაიარა, მკაცრად იყო დაცული საარჩევნო კანონი,— თქვა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ კაკუშაძემ. რაც შეეხება ჩემს პირად აზრს, ვფიქრობ, რომ მომავალში ეს კანონი მაინც უნდა დაიხვეწოს.

..ცენტრალური საარჩევნო კომისია. გაუჭირდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ახლანდელი არჩევნების ამ შტაბის კოლექტივს. მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში აქ უჩვეულოდ დიდი მოცულობის მუშაობა გასწიეს პირველი მრავალპარტიული არჩევნების მომზადებისა და მოწყობისათვის. გამოცდილების უქონლობის გამო ცალკეული საკითხების გადაწყვეტას ხშირად ახერხებდნენ ცხარე კამათის, კონსულტაციების, საზღვარგარეთის ქვეყნებში ასეთი კამპანიების მოწყობის პრაქტიკის დაწვრილებით შესწავლის შემდეგ, რა თქმა უნდა, კომისიის მთელი წინასაარჩევნო საქმიანობის გვირგვინი იყო თვით არჩევნების დღე.

კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჟორდანიას კაბინეტში, სამდივნოში, სამუშაო ჯგუფებში ტელეფონის განუწყვეტელ ზარს აქ დიდი ხანია მიეჩვივნენ, მაგრამ ამჯერად არც ერთი წუთით არ შემწყდარა იგი. კომისიის წევრები პასუხს სცემდნენ სხვადასხვა კითხვას, ისეც ხდებოდა, რომ იღებდნენ სიგნალებს ადგილებზე დარღვევებისა, საარჩევნო კანონიდან გადახრის თაობაზე. ყოველ ასეთ სიგნალზე ოპერატიულად რეაგირებდნენ. მაგრამ, როგორც აღმოჩნდებოდა ხოლმე, მეტწილად სიგნალები არ დასტურდებოდა. კომისიის წევრები, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისა და ბლოკის წარმომადგენლებიც ყოველ, მოელ დღის განმავლობაში უშუალოდ კონტროლს უწევდნენ ამ ეტაპზე ჩატარებულ მოყოფილ საარჩევნო ოლქებში კენჭისყრის მიმდინარეობას. მაღალი მთის რეგიონებთან შეუფერხებელი კავშირის უზრუნველყოფისათვის უშუალოდ კომისიის ერთ-ერთ ოთახში მოწყობილი იყო რადიოსადგური, რისთვისაც იზრუნეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან შექმნილი ეროვნული რადიოკლუბის „საქართველოს“ წევრმა ახალგაზრდებმა.

—ზუსტად კანონის შესაბამისად არჩევნების მოწყობა, მისი შედეგების ობიექტურობა უზრუნველყო არა მარტო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მწყობრმა მუშაობამ, არამედ იმანაც, რომ ადგილებზე იყვნენ ჩვენთან საერთაშორისო მეთვალყურეებად ჩამოსული ცნობილი ექსპერტები, პოლიტოლოგები, იურისტები, სოციოლოგები, პარლამენტარები,—თქვა ირაკლი ჟორდანიამ,—ჩამოსვლისთანავე ისინი განაწილდნენ რეგიონებში. ახლა მეთვალყურენი არიან როგორც თბილისში, ისე აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. საქართველოში არჩევნების მიმდინარეობის გაშუქებისათვის ჩამოვიდნენ საზღვარგარეთის მრავალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები, რომლებიც აკრედიტებული არიან სასტუმრო „აჭარის“ კონფერენც-დარბაზში დაბინავებულ საერთაშორისო პრესცენტრთან.

ადგილებიდან პირველი ცნობების მიღება კომისიამ დაიწყო დილის 11 საათზე. როგორც ინფორმაციებიდან ჩანდა, ამ დროისათვის მთლიანად საქართველოში უკვე ხმა მისცა ამომრჩეველთა 30 პროცენტმა. 17 საათისათვის ხმის მიმცემთა რიცხვმა შეადგინა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი. პრაქტიკულად მთელ ღამეს და მთელ მომდევნო დღეს ზუსტდებოდა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვი, იმ ხმების რაოდენობა, რომლებიც მიიღო ყოველმა პარტიულმა სიამ, დეპუტატობის კანდიდატმა, რომელიც პერსონალურად იყრიდა კენჭს. როგორც პარტიული სიების მიხედვით, ისე საარჩევნო ოლქებში არჩევნების საბოლოო შედეგებს ჯერ კიდევ აჯამებენ და კანონის თანახმად ცნობილი გახდება ხუთ დღეში.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

გლეხური მეურნეობა

იწყევენ პირველ მოსავალს

საზოგადოებრივი მეურნეობები ძირითადად გლეხურ მეურნეობაზე გადავიდნენ. სხვა რომ არაფერი, არარენტაბელური მუშაობის პერიოდში ეს ნაბიჯი გარდაუვალი გახდა. ახლა კი, მართალია, დაბნეულობაა, დაუხვეწავია ეს პროცესი და მართვა აკლია, მაგრამ ერთი უდავოა—როცა ვაზს, სათიბსა და ყანას ნამდვილი პატრონი გაუჩნდა, თითქმის მტკაველი სავარგულიც არ დარჩენილა დაუმუშავებელი და ეს ბევრს ნიშნავს.

არც წიფერჩის რეგიონია გამონაკლისი. კარგი მოსავალი მოიყვანეს აქაურმა მშრომელებმა—ხილიც ბარაქიანად მოვიდა, სიმინდიც და ყურძენიც.

ახლა გულდაგული შემოდგომაა სოფელში. სიმინდის მოსავლის აღება თითქმის დასრულდა. ნალიები დოვლათით აივსო, ხილიც დაიკრიფა. გიორგი გელენიძე, მიხა ნემსწვერიძე, ჯემალ დავითულიანი, ნიკო თუთისანი და სხვები ბარაქიანი რთვლით ხარობენ. უმეტესობამ სახელმწიფო მარანში მიიტანა მოსავალი საკუთარ ანგარიშზე.

გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის შემდეგ სასოფლო საბჭო მოვალეა იცოდეს, სად წაიღოს გლეხმა მოსავალი, რა გადაიხადოს მიწის საზღაური. სოფლის კომლთა უმრავლესობას განცხადებები უკვე შემოტანილი აქვთ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის შესახებ, ბევრი თავად მოდის საბჭოში გადაიხადოს დებულებით გათვალისწინებული გადასახადი, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ვერ ერკვევიან სიახლეში, ბევრს არც იჯარა უნდა და არც გლეხური მეურნეობა, მაგრამ ეს დროებითი პროცესია. საბჭო, სოფელი იმუშავებენ ადამიანებთან. პირველ ეტაპზე მინიმალურ გადასახადზე არც არავინ იტყვის უარს.

გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის პირველი შემოდგომაა და შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ ერთი მთავარია—სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობა აშკარად გაიზარდა, გლეხის ბეღელ-მარნის სიმდიდრე კი სახელმწიფო სიმდიდრეა, მით უფრო ამ კატასტროფულად გაძვირებული ბაზრის პირობებში. ბაზარს ხომ მხოლოდ და მხოლოდ გლეხის—ჩვენი მარჩენალის გარჯითა და ოფლით მოწეული უხვი მოსავალი დაარეგულირებს, სოფელს ხომ მიწისა და მამა-პაპის სიყვარული გადაარჩენს.

მ. ძნელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისფერი სარწყული

ღმერთო, გვისწრაფე დღე სანეტარო

გაზაფხულივით სანეტაროა თავისუფლება!

ალბათ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე მოლოდინის, იმედისა და ნატვრის მთელი საუკუნე გათავდება.. ვიდრე ერის გამოღვიძება ერთიანობის კვირტს გამოიტანს, ვიდრე ეს ნაყოფი მოიწევა და ვამბობ:

თებერვალსა ჰგავს იმპერია! თებერვალს, რომელიც მთელ დუნიაზეა გაბრაზებული და შეძლება რომ მისცე, ლოდად და ყინულად აქცევს ყოველივეს... მაგრამ თებერვალს მარტი ამოკლებს... მარტი შლის მის კვალს, ამიტომ მიყვარს მარტი!

სუსხიანი ქარიც მიყვარს! ანკი როგორ არ მიყვარდეს, როცა ვხედავ, თუ როგორ იბრძვის გაზაფხულის მობრძანებისთვის. ესწრაფვის მოაბრძანოს, ვიდრე მოკვდება, ვიდრე ჩადგება.

„და ასე მოდის გაზაფხული— თავისუფლება!"

გაზაფხულის სურნელი დატრიალდება ჰაერში. გაფუებულ მიწას ოხშივარი ასდის... იქვე ჩამომსხდარი ნაზამთრი ყვავები დარბაისლურად საუბრობენ: თებერვალი ბერავსო, მარტი კაბას კერავსო!

გამობრძანდება ახალ კაბაში სიხარულისგან, სიამაყისგან სახეალეწილი, თვალებგაცისკროვნებული დაბზრიალდება ადგილზე, ააფრიალებს კაბის კალთებს—სამფეროვან დროშებს და დაგვანახებს ჯიშიან წვივებს..

ამ მათრობელა სურნელით წინასწარ კიდეც ვძლები და კიდეც ვთვრები...

ვხეტიალობ, ვებლანდები ხეებს ფეხებში, როგორც მთვრალი ბავშვი უფროსებს. ერთი ყვავილიდან მეორეზე მიჰქრიან შექმნის დიადი სურვილით აზუზუნებული ფუტკრები.. უფუტკროდ გაზაფხული რაღა გაზაფხულია. მაგრამ შეიძლება ვიღაც ველარ მოესწროს გაზაფხულის მობრძანებას.

სამარადისო დიდება 9 აპრილს დაღუპულ წმინდანებს!

დიდება, ჩვენს „თეთრ ბატონს", ერის სინდისს, ჩვენს საყვარელ მერაბ კოსტავას!, ზურაბ ჭავჭავაძეს, ვოვა ვეკუას დიდება!

თავისუფლების გაზაფხული „იავნანას" უმღერებს აკვანში ჩაკლულ პაწია გმირსაც.

ღმერთო, გვისწრაფე სანეტარო თავისუფლება!

ამინ!

დარეჯან ჩორგოლიანი

ლიტერატურული გვერდი № 6

დე, სამუდამო მშვიდობა ჰქონდეს

შორს გასცქეროდნენ მათი თვალები
ვიწრო შუკებს და შემოსახვევებს
და ოცნებებში რა გამალებით
უცვლიდნენ დაჭრილ ბიჭებს სახვევებს.
და ხუთი წელი იყო ნატრული
ვაზი სასურველ ხელის შეხებისა,
მას შემდეგ ბევრი ხორგო საკლისობს
ყურძნის დაწურვას სუფთა ფეხებით.
ბიჭებს კი სიზმრად ელანდებოდათ
მიტოვებული მადონა სოფლის
და ხევდა ისე ეძალებოდათ,
ვით ნათოხარზე მოწოლა ოფლის.
ო, რამდენს ჯავრი ჩაჰყვა ბოლომდე,
წყალ-ჭალის ხმა და ჩხრიალი ღელის,
და ცივ წყაროსთან თეთრი ვერხვები
რამდენ შეუმდგარ პაემანს ელის.
თუმც ათეული წლები გვაშორებს,
ომის გრიგალმა გადაიარა,
დედები ცრემლებს ველარ იშრობენ
და გულში რჩებათ ღია იარად.
დღეს გვსურს მშვიდობის ქარები ქროდეს,
რომ გაამხნევოს ჩვენი პლანეტა,
დე, სამუდამო მშვიდობა ჰქონდეს
თამარს, გიორგის, შოთას, ანეტას.

ნაირა ლეჟავაშელი.

* * *

თავისუფლებას დავეწაფე ისე, ვით წყაროს,
ვნატრობ სიცოცხლეს მარადიულს ერთი მოკვდავი:
ქართულმა ჯიშმა ქვეყანაზე უნდა იხაროს
და დღეგრძელ იყოს აწმყოთი და ტკბილი მომავლით.
ჩვენთან არს ღმერთი,
დალოცვილი გზების მკაფველი,
შენზე ვინ ბედავს აუგის თქმას, ქართველო ხალხო,
თავისუფლებას მოვიპოვებთ, მჯერა, რამეთუ
თავისუფლებას საქართველო პურივით ნატრობს.

იამზე გიგიჩაძე.

რიონის ტალღა

აზვირთებულა რიონის ტალღა,
შხუის და შფოთავს, არ იცის დაღლა.
ღრღნის იგი, არღვევს სიპებს და კლდეებს,
და ისე ითვლის უთვალავ დღეებს.
ვით ტალღა კლდეებს, გული დაგული
ებრძვის სიმუხთლეს, ეძებს სიმართლეს,
მაგრამ ვერ პოვებს, რადგან მზაკვრებმა
იგი დაახრჩვეს, სადღაც მიმალეს.
ამბობენ — ვით ღმერთს წმინდა სანთელი,
ხარკი უნდაო სიმართლის ნახვას.
ხარკად შევწირე გული ნათელი,
ვთხოვ ღმერთს, სამშობლოს გზები რომ გახსნას.
დამჩხავის ყვავი, სისინებს გველი:
—არ გვინდა გული, მოგვეცი ფული..
მე მათ არ ვუსმენ, ვიბრძვი, ვღრღნი „სიპებს",
ასე მკარნახობს მე ჩემი სული.

ნოე გოდერიძე.

სამი სადღეგრძელო

სიყვარულს გაუმარჯოს—ძალიან ლამაზს და ძალიან სევდიანს. მარადიული არაფერია, ისევე, როგორც მყარი არაა არაფერი ამ ქვეყანაზე, სიყვარულს კი მარადიულობა სწადია და ესაა სწორედ სიყვარულის მარადიული წამება. უსიყვარულოდ ვის გაუძლია, სწორედ ამიტომ გამოიგონა ადამიანმა ოცნება, უძველესი, საამო, თუნდაც უიმედო, მაგრამ მაინც ლამაზი ოცნება, ოცნება სიყვარულზე და მარადიულობაზე. სიყვარული თვით დაბადებიდან იწყება, ყოველ სუნთქვაში, ყოველ გულისცემაში ჩაქსოვილია სიყვარულის ნაწილაკი, რომელთა ერთობლიობა თანდათან გვაახლოებს მარადისობასთან.

სიძულვილისადმი პროტესტს გაუმარჯოს—ლამაზ სიყვარულს.

სიყვარული მაჯისცემაა,
უძილო ღამეებია,
ცისფერი ოცნებაა,

ადვილად გასატეხი ძვირფასი ჭურჭელია სიყვარული. ერთიანობა, ერთ არსებად ქცევა, სიყვარულით გაერთება ასუსტებს სიყვარულის დაძაბულობას და იდუმალებას. არავის და არაფერს შეუძლია გაარღვიოს მარტოობის მაგიური სფერო, ეს ძალუძს მხოლოდ გრძნობათა აფეთქებას, მის ძალასა და სტიქიას—სიყვარულს.

სიყვარულის ფასი მან იცის მხოლოდ, ვისაც ცოტა ხნით მაინც უცხოვრია უსიყვარულოდ. უსიყვარულოდ კი არავის უცხოვრია, არავინ ცხოვრობს და არავინ იცხოვრებს. ამდენად, სიყვარულით ისეა გაჟღენთილი ვნებათა ღელვით დამუხტული ჩვენი ცხოვრება, ერთი შეხედვით ძნელიც კია სიყვარულის არსის გაგება.

სიყვარულს გაუმარჯოს—მარადიული სიჭაბუკის იდუმალებას, ცისფერ ოცნებას და მსოფლიო სევდას.

* * *

საქართველოს გაუმარჯოს —
მილიონჯერ დაჩეხილს,
მაინც ძლიერს,
მაინც ამაყს,
მაინც გულარგატეხილს.

* * *

სიკვდილს გაუმარჯოს—ადამიანთა ცოდვით უსაშველოდ დამძიმებულს, სიკვდილი უნდა გვებრალებოდეს და არა გვძაგდეს, რამეთუ ცოდვილნი საბრალონი არიან მუდამ.

სიკვდილს გაუმარჯოს, იგივ ადამიანად არყოფნის სევდას. თუ არა ეს სევდა, მაშინ რად ეღირებოდა ქვეყნად მოსვლა, რად ეღირებოდა ადამიანად ყოფნის ლამაზი სევდა—იგივ სიცოცხლე. სიკვდილი ალამაზებს სიცოცხლეს, გამოუთქმელ ხიბლსა და ლაზათს აძლევს მას.

არ ეღირებოდა გროშად სიცოცხლე, თუ არ იქნებოდა სიკვდილი. სისხლის მსმელები გავხდებოდით ადამიანები, კბილებით დავგლეჯდით ერთმანეთს, აუტანლად შევიძულებდით საწუთროს. არ იქნებოდა ბოლო ნაპირი, უსიკვდილოდ გარიყულნი დავრჩებოდით ადამიანები, იმ მეზღვაურებს ვემსგავსებოდით, რომლებიც ღია ზღვაში მოხვდნენ ქარიშხლის დროს და სანაპიროზე ვერ გააღწიეს.

ადამიანად არ ყოფნის სევდას —სიკვდილს გაუმარჯოს, რომელიც ასე ალამაზებს კაცთა ცხოვრებას.

სიკვდილს გაუმარჯოს—ცხოვრების მეგზურს და სტიმულს, სურვილთა სურვილს და სევდიან ოცნებას.

სიკვდილს გაუმარჯოს—უტყუარ ნაპირს, მყუდრო ნავთსაყუდელს და საიმედო თავშესაფარს კაცთა მოდგმისას.

ნანა აკოფიძე.

როცა ცა ძალიან მაღალია

ვის ესმის ადამიანო, შენი ხმა, მაღალ მწვერვალებს, უკიდეგანო სივრცეს, მშობლიურ ცას...

კეთილს გაეწბილების, თორემ ბოროტს რა ხელი აქვს აშენოს სოფელი ჩვენი, ფუძე დიდი სოფლის, ღმერთისაგან ნაზიარები, ქართული სისხლის ამოშენებული. ცრემლით მოურწყავს ვაზი ქართველს, გვალვას რომ არ ალევავა პირისაგან მიწისა და სული ტაძართა მღალადებლისა წმინდათ მიუშთენია, წმინდანები დაუზრდია წმინდა ტაძარში, მერე კი მადლიერი სოფლითა ჩვენითა მიუსვენია დალლილი ტანი სასუფეველსა სამარადოსა ჩვენთა.

ალბათ ღმერთისაგან ნაკურთხი იყო, ბოროტს ბოროტად არ მიხვდომია, კეთილი საქმით უქმნია ძე ცისა და ღმერთისა, პურიც მადლითა და არა ტანჯვითა უბოძებია დედამიწას.

სანამ აღსასრულის მოახლოებას იგრძნობდა ტანი, სრულ ჭკუაზე მყოფს შვილებისთვის ერთმანეთის სიყვარული და გატანება უბოძებია ლოცვად და ანდერძად. სხვა რამ ქონება ცეცხლმა წაიღო, დაიბნეს, სიყვარული აშენებს კეთილს ეკლესიის სამარადოდ სულის მოსახსენებლად.

სიყვარული აშენებს შეუვალს ყოველის ბოროტებისაგან, დაცულს ყოველი გესლიანისაგან.

ზოგს დაჯდომია ჭკუაში რჩევა და მამის ნათელი წარუმძღვარებია წინ. ზოგს კიდევ ძნელი გზა აურჩევია, რათა თვითონ გამოსცადოს კარგი და ცუდი, თუმცა ყველა მოკვდავის ბედი ნარ-ეკლის ჩეხვაა, თუმცა ყოველი გამოცდილი სიტყვა ფუჭია და არ დაგიდევს ნაწრთობ ხმალს, რადგან ეჭვობს—იქნებ ჟანგი შეეპარა.

ლოცვით მოვსულვართ ცნობიერების მაღალ აღმართზე, რწმენით აგიგია უცხო ტაძარი, თავიდან ფეხებამდე გამჭვირვალე ყოფილხარ სანთელივით.

ფრთებმა აგიტაცეს ცაში, მაღალ მწვერვალებს გასდიე და შენეული სითბოს ხინათლე გაბრწყინებული დარჩა დაბლა.

გზა დაუფარავს სიბნელეს, უმეცრებას და მიწის ტანჯული ქვითინი ცამდე ასულა, მაღალ ცამდე.

ვინ თქვა, იზეიმებს შენს ტაძარში ავი სულები...

ღმერთი მხოლოდ ის ხომ არ არის, წმინდა ტაძარში სანთელი ავანთოთ... მინახავს კაცი სანთელივით იწვოდა, ბაგეთაგან ტკივილთა დამაამებელ საღბუნად ეღვრებოდა დამატყვევებელი ჰანგები.

თავად იყო ეს კაცი ღმერთი.

ჩვეულებრივად მიიცვალა როგორც მოკვდავი, სამარადო სასუფეველი იქვე, ერთ საფლავებშეფენილ გორაზე დაიდო.

ცნობიერება ღალატობს კაცს, ფიქრი იწეწება და უთავბოლოდ იხლართება, კაცს მოსვენებას უკარგავს.

წმინდა სანთელი იწვოდა, ჩამოილვენთა, დაიფერფლა, რაღაც ძალიან დიდი დარჩა ამ კაცთაგან წუთისოფელში.

თითქოს დღენიადაგ დაგეძებ, დავბორიალებ.

ვიცი ამ ადამიანს ქვეყნის ბედი ტვირთად ეკიდა და სიბნელის, ღრმა, მომქანცველი სიბნელის მსხვერპლი შეიქმნა, დიდი სიბნელის, რამაც დრო-ჟამი უკვალოდ შთანთქა.

ალბათ სხვასავით დიდხანს იხეტიალა და აკი იპოვა თავისი წმინდა სალოცავი...

მთვარისა ბენდელიანი.

ლეჩხუმური ყოფა — ტრადიციები

მთის შეფერდებაზე უცნაური მორები ჩანდა, ლამაზად, მწყობრად იყო განლაგებული. აქა-იქ ფუტკრის სახლიც დავლანდე, სკას რომ ეძახიან. კითხვა მინდოდა, მაგრამ თავს ვიკავებდი. მანქანა კი მიჰქროდა. ვერ მოვითმინე, ვიკითხე და ცნობისმოყვარეობა დავიკმაყოფილე. შევიტყვე, რომ ეს მორები ფუტკრის სადგომი იყო. მინდოდა, მენახა საკუთარი თვალით, ხელი შემევლო და დამეთვალიერებინა. ლეჩხუმური სოფლები დავიარე. საირმეში დონია ხუციძის ეზოში მოვკარი თვალი ასეთივე მორებს. მოხუცი მიხსნიდა: „რო გაზაფხულდებოდა, იყრიდა ბუზული, ორკეპი ჰქონდათ და ჩააყენებდნენ იმაში, დადგამდნენ და მიუმატებდნენ". მე ვერ ვიგებ რა არის ორკეპი. აი, ეს არისო— მითითებს ამოღრმავებულ მორზე, მივყავარ ახლოს და ვინ იცის, მერამდენედ ესათუთება. ვათვალიერებ, ჩვეულებრივი მორია, შუაზე გაჰრილი, გულამოღებული, გათლილი, მასში ფუტკარს აბინავებდნენ, ახლა კი აღარავის ჰირდება.

—ეს პატარა ორკეპია?

—არა!—თითქოსდა მიწყრება, რომ არ ვიცი.

—ეს ლოფირაა, ფუტკარი როცა იყრიდა, მაშინ უდგამდნენ. ახალნაყარ ფუტკარს უდგამდნენ თაფლიან ლოფირას.

ლოფირა ალიკვალია ორკეპის, ოღონდ უფრო მომცრო, პატარა. ჩაფიქრებულს ხმა მესმის: „ორკეპს ისე დაგმანავდა ბუზული, რომ წყალი არ ჩავიდოდა შიგ."

ზედა საირმეში ლუბა თვარაძეც მაჩვენებს ლოფირას, მეუბნება: „თითო მეტროიან მორს ამოჰრიდნენ ეჩოთი, ყავრით გადახურავდნენ და ქვეშ ქვებს გაუკეთებდნენ, მიწაზე რომ არ მდგარიყო".

ლოფირა აქ უკვე ფუტკრის საცხოვრებლადაა ნახმარი და არა განაყოფის დასაბინავებლად.

სოფელ უცხერშიც მოვკარი თვალი მორს. მასპინძელი—ალიოშა ნემსწვერიძე მიყვება, რომ „ადრე გეჯაში ყავდათ ფუტკარი". დავიბენი, მაინტერესებს ვნახო გეჯა, მაგრამ უცხო ნივთის ნაცვლად ჩემი ნაცნობი ორკეპი და ლოფირა დამიდგა თვალწინ.

ეს ადამიანების სიახლოვეს

ფუტკრის სახლი

მობინადრე ფუტკრის საცხოვრებლის სახელია. ტყეში კი „ან ფუღუროში, ან ჯირკში უნდა ეძებო ბუზული",—ძველ ამბავს მიყვება მიტუშა კაბოსნიძე. ბავშვობას იგონებს დროული კაცი. „ბაბუაჩემმა ნახა კლდეშუა ჯირკი. ჯირკში ფუტკარი იყო. საღამოს რომ შელაგდა ყველა, ამოლესა აყალო მიწით, წამოიღო სახლში და გაამრავლა სკა".

ჯირკი მე ჩვეულებრივი, უვარგისი, დამპალი ხე მგონია, მართალი ხარო, მიდასტურებს მთხრობელი, მაგრამ დაძველებულ მორში ცარიელი ადგილი უნახავს ფუტკარს და ბინად გაუხდია.

ზედა საირმეში აქსენტი ხუციძე მისწორებს—„ტყეში რომ იპოვიდნენ ფუტკარს, სახელდახელოდ გამოთლიდნენ ჯირკს, ამოაღრმავებდნენ, ფუტკარს შერეკავდნენ შიგ და წამოიყვანდნენ იმით შინ. აი, ამას ვუძახდით ლოფირას".

შინ დაბრუნებულმა ლექსიკონებში დავძებნე ფუტკრის სახლები, „ორკეპი" არსად არ შემხვდა. „ლოფირა" და „გეჯა" ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია განმარტებული, როგორც ღორების საჭმლის ჩასაყრელი. ასევე განმარტავს ლოფირას ალ. ღლონტიც „ქართული კილო—თქმათა სიტყვის კონაში" და თან მიანიშნებს, რომ ამ ნივთს „როფსაც" უწოდებენ, ხოლო „გეჯა"-ზე აღნიშნავს, რომ ფუტკრის სადგომადაცაა გამოყენებული, ის ეყრდნობა მიხ. ალავიძეს.

ეს სიტყვები დავძებნე წიგნში „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის" (4 ტ). აქ ლეჩხუმურ მასალებში ამოვიკითხე: „ფუტკარი ლოფირაში გვყავდა. ლოფირას ბიკვსაც ვეტყვით". „მაისში თუ იქვე ხეს სველი (შრატი) გადაასხი, როცა იყრის, იმას მიესევიან, ჩავრეკავთ როფში (იგივე ლოფი)."

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ამ პატარა კუთხის სოფლებში ფუტკრის სახლს თავთავისი სახელწოდება ქონია. ფუტკრის სახლის თანამედროვე სახელი „სკა" ყველგან საერთოა, „ორკეპს"—ქვედა საირმეში ეძახდნენ მორს, „ლოფირას"—ქვედა საირმესა და ზედა საირმეში, იმ განსხვავებით, რომ ქვედა საირმეში ის გამოიყენებოდა განაყოფი ფუტკრის დასაბინავებლად. ზედა საირმეში კი ველური ფუტკრის ტყიდან წამოსაყვან საშუალებადაა ნახმარი. „გეჯა"—უცხერში ეწოდებოდა, ხოლო ბიკვი, როფი და ლოფირა მოხსენებულია ლეჩხუმურ მასალებში.

ნ. შელია.

მსოფლიოს ქალაქებში

ერთსართულიანი ნიუ - იორკი

ბევრში ნიუ-იორკი მხოლოდ ცათამბჯენების ასოციაციას იწვევს. მათგან ყველაზე ცნობილია 102-სართულიანი „ემპაირ სტეიტ ბილდინგი", თუმცა იგი აღარ არის ყველაზე მაღალი შენობა მსოფლიოსა და თვით ნიუ-იორკშიც, მაგრამ 1931 წლიდან მაინც ყველაზე დიდი ამერიკული ქალაქის „სავიზიტო ბარათად" რჩება. მას შემდეგ ნიუ-იორკში ამერიკული სამშენებლო ხელოვნების მიღწევათა ამსახველი ბევრი ახალი გიგანტური ნაგებობა წამოიმართა. ესენია მსოფლიო სავაჭრო ცენტრისა და როკფელერის ცენტრის ცათამბჯენები, ავტოკონცერნ „კრაისლერისა" და სასურსათო კორპორაცია „სიგრემის" შენობები, დროისა და სამშენებლო ტექნოლოგიის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ნაშენი მაღლივი შენობა „ტრამპ ტაუერი" ფეშენებელურ მეხუთე ავენიუზე. იგი ეკუთვნის უკანასკნელ წლებში სწრაფად გამდიდრებულ მილიარდერ დონალდ ტრამპს. შიგნიდან და გარედან მზეზე მობრჭყვიალე ბრინჯაოთი მორთული, ზამთრის ბაღებიანი და ხელოვნურჩანჩქერებიანი ეს შენობა აქ ითვლება სპეკულაციით გამდიდრებულ ამერიკელ ბობოლათა სიმბოლოდ. ნიუ-იორკის ცენტრში შენდება ახალი ცათამბჯენები.

მაგრამ თითქმის ქალაქის ნახევარი—ეს არის „ერთსართულიანი ნიუ-იორკი" განუმეორებელი არქიტექტურის მყუდრო კოტეჯებით. სწორედ იქ დარჩა სახლები, რომელთაც ამერიკელებისათვის დიდი ისტორიული ღირებულება აქვს. ბრონქსში შემორჩენილია სახლი, სადაც ცხოვრობდა დიდი ამერიკელი მწერალი ედგარ პო. ნიუ-იორკის სხვა რაიონში—ბრუკლინში არის ქალაქის ძველისძველი შენობა, რომელიც აშენდა 1652 წელს, ქალაქის ოფიციალური დაარსებიდან 22 წლის შემდეგ. ჰარლემში არის სახლი, სადაც მოთავსებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე ომისდროინდელი შტაბ-ბინა. მაგრამ მისი ბედი, ისევე როგორც არქიტექტურის სხვა მრავალ ძეგლთა ბედი, არასახარბიელოა. იგი იმდენად სავალალოა, რომ ერთი ინგლისელი ტურისტი ქალი იძულებული გახდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" ასეთი სტრიქონები გამოექვეყნებინა: „თქვენს შესანიშნავ ქალაქში ეს სახლი ჰარლემში აღმოვაჩინეთ, იგი არქიტექტურის მარგალიტია. სამწუხაროდ, სახლი ინგრევა. ამგვარი ძეგლების აღდგენა შეუძლებელია".

„ერთსართულიანი ნიუ-იორკის" ბედი აწუხებს ახლახან შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ისტორიულ ნაგებობათა ტრესტის" წევრებსაც.

მაგრამ ვიდრე ერთნი განიცდიან არქიტექტურის ძეგლთა ბედს, სხვები ასეთ სახლებიან მთელ მიწის ნაკვეთებს ყიდულობენ, ანგრევენ მათ და აშენებენ სტანდარტულ საცხოვრებელ სახლებს. კუინსის რაიონში ერთმა ასეთმა საქმოსანმა შეისყიდა პატარა ქუჩა. რამდენიმე დღის შემდეგ ბულდოზერების დარტყმით დალეწეს ძველებური სახლები და მათ ადგილზე სწრაფად იწყო წამოჭიმვა მაღლივმა „კოლოფებმა".

ნიუ-იორკი

იური ბესპალკო.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გილოცავთ!

სევერიან მიხეილის ძე კოპალიანს

ბაბუ, გილოცავთ დაბადების 80 წლისთავს. გისურვებთ სიხარულით სავსე ჯანმრთელი სიცოცხლე გქონებოდეს.

თეა, ეკა კოპალიანები.

ციცინო კვენეტაძეს
ედიშერ სიდამაძეს

გილოცავთ ვაჟის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ადამიანი.

იზოლდა, ნინო, ბახვა კოპალიანები, ნანა, გოგი გოლეთიანები.

ბაბუცა ბაქრაძეს!

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი. ღმერთმა ამრავლოს თქვენს ფუძეზე ძე-ასულები.

შოთა, ბაბილო, მამუკა, მალვინა, ნათია, გიორგი ახვლედიანები, ლალი, ბადრი, სალომე სვანიძეები.

მამიდა ნადია, მამიდაშვილები: თამარ, შურა, რეზო, ლადო სილაგაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიშა ბიქტორის ძე თუთისანი

№1 ორმოცბინიანი სახლის მობინადრენი თანაუგრძნობენ რიმა და ზურაბ თუთისანებს მამამთილისა და მამის

გრიშა ბიქტორის ძე თუთისანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ზურაბ ჩიქოვანი, მამია, ზურაბ დაშნიანები, მელსი ყურაშვილი, შუშანა ყურაშვილი, თამაზ მურცხვალაძე, ჯობო ბაკურაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დაშა პავლეს ასული მამარდაშვილი

დიომიდე ჭაბუკიანი, ილარიონ გელოვანი ოჯახებით იუწყებიან

დავით გერასიმეს ძე ყურაშვილის

გარდაცვალებას.

ძძუ ახვლედიანი, ლამარა ბერიძე, ქეთინო ლიპარტელიანი, ლედი სილაგაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დაშა მამარდაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა განყოფილების ღვაწლმოსილი მუშაკი, მთავარი ბუღალტრის მოადგილე

დაშა პავლეს ასული მამარდაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის საშუალო სკოლის VIII ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი დოდო ნემსწვერიძე თანაუგრძნობენ მამუკა თუთისანს ბაბუის

გრიშა თუთისანის

გარდაცვალების გამო.

ძმა ლეო, დები დოდო, ნუცა, რძალი დუშა, ძმისშვილი ნონა მამარდაშვილები, დისშვილი გია გვიმიანი, სიძეები ვაჟა ახვლედიანი, კობა სალინაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დაშა პავლეს ასული მამარდაშვილი.

დაკრძალვა 4 ნოემბერს, კვირას, სოფ. ჩხუტელში.

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ დავარ ლიპარტელიანს ბებიის

ფედოსი გოგიძის

გარდაცვალების გამო.

აქსენტი სოლომონის ძე კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გრიშა ბიქტორის ძე თუთისანი

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-28, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.